სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 31

2014 წლის 02 აპრილი

ქ. თბილისი

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტი" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 18 მარტის N33/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე", ე[1]" და ,,თ" ქვეპუნქტებისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2014 წლის 25 თებერვლის N03 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსი.

2. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსში წარსადგენი პროექტის რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი №2- ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსში წარდგენილი პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი №3- ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №4- ის შესაბამისად.
6. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge;
7. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური

დანართი N1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 02-- აპრილის №31--ბრძანებით

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF -Global), საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) ერთობლივი პროგრამის **"ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტი"** ფარგლებში საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია: ხელი შეუწყოს ნიჭიერ ქართველ დოქტორანტ ქალბატონებს დისერტაციაზე მუშაობაში და სამეცნიერო კვლევებში ქალთა ჩართულობის ზრდას.
2. კონკურსი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქართველ დოქტორანტ ქალბატონებს წარმატებით დაასრულონ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა.
3. გრანტი შეიძლება გამოყენებული იქნას დოქტურანტურაში სწავლების ხარჯების დასაფარავად, აპლიკანტის სტიპენდიისათვის, კონფერენციებში მონაწილეობისათვის, კომპიუტერული ტექნიკის, სხვა ტექნიკური საშუალებებისა და სათანადო მასალების შესაძენად.
4. გრანტის მიმღებთა დაფინანსება მოხდება ფონდისა და CRDF –Global-ისათვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი სახსრებიდან.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსს ადმინისტრირებას ერთობლივად უწევენ ფონდი, CRDF Global-ი და სსგფ.
2. პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი და CRDF Global-ი.
3. ფონდი:

ა) უზრუნველყოფს CRDF Global-სა და სსგფ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) უზრუნველყოფს CRDF Global-სა და სსგფ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამართვის წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

გ) CRDF Global-თან და სსგფ-თან პარალელურად ამოწმებს პროექტების შესაბამისობას კონკურსის პირობებთან;

დ) უზრუნველყოფს CRDF Global-ის და სსგფ-ის მიერ შერჩეული ათამდე გამარჯვებული პროექტის დამტკიცებას ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ და მათ დაფინანსებას CRDF Global-თან ერთად.

მუხლი 3. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტს წარადგენს აპლიკანტი. წინამდებარე კონკურსში აპლიკანტს შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარმოდგენა.

2. მკვლევრები, რომლებიც კონკურსის გამოცხადების დროისათვის ჩართულნი არიან აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF – Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ)"მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - იდეიდან ბაზრისკენ" ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსში პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით, ასევე არიან ფონდის მიერ გამოცხადებული 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსისა და 2013 წლის ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებულები, ვერ მიიღებენ მონაწილეობას წინამდებარე კონკურსში.

3. აპლიკანტი არ უნდა იყოს ჩართული თავდაცვით და სამხედრო თემატიკაზე ორიენტირებულ კვლევებში და მისი სამეცნიერო საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს სამოქალაქო გარემოში;

4. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი კვლევის თემატიკა უნდა ითვალისწინებდეს STEM-ის სფეროს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, აგრეთვე, მათ სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საინჟინრო და ტექნოლოგიურ კვლევებს.

მუხლი 4. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. კონკურსში გამოვლინდება არაუმეტეს 10 გამარჯვებული პროექტისა.

2. თითოეული პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს, ხოლო თითოეული პროექტის საერთო საგრანტო დაფინანსება - 6 000 აშშ დოლარს. გრანტის 70%-ს გასცემს - CRDF Global-ი, 30%-ს - ფონდი.

3. გრანტის არანაკლებ 70% გამოყენებული უნდა იქნას გრანტის მიმღების მიერ ჩატარებული კვლევისთვის, რაც მოიცავს დოქტორანტურაში სწავლების ხარჯებს და სტიპენდიას. დარჩენილი თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონფერენციებზე დასწრებისათვის და კომპიუტერული ტექნიკის, სხვა ტექნიკური საშუალებებისა და სათანადო მასალების შესაძენად.

4. ფონდის მხრიდან პროექტის საგრანტო დაფინანსება განხორციელდება ავანსის სახით.

5. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგს:

ა) გრანტის მიმღების სტიპენდია;

ბ) დოქტორანტურაში სწავლის საფასური;

გ)კომპიუტერული ტექნიკა, სხვა ტექნიკური საშუალებებისა და სათანადო მასალების შეძენის ხარჯი;

დ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი.

6. გრანტის თანხებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, შენობა ნაგებობის კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

მუხლი 5. კონკურსის ძირითადი ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ფონდში, CRDF Global და სსგფ-ში წარდგენა;

გ) წარდგენილი პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) CRDF Global/სსგფ-ის მიერ კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტების სამეცნიერო დონის/ღირებულების დადგენა და დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენა.

ე) გამარჯვებული პროექტების დამტკიცება ფონდის სამეცნიერო საბჭოსა და CRDF Global-ის მიერ;

ვ) ფონდის მიერ გრანტის მიმღებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ფონდში ქართულ ენაზე ელექტრონული ფოსტით წარდგენილ უნდა იქნას წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დანართების მიხედვით შევსებული პროექტის რეზიუმეს ფორმა (დანართი 2), პროექტის ბიუჯეტის ფორმა (დანართი 3) და კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტის განაცხადი (დანართი 4).
2. ფონდში, CRDF Global-სა და სსგფ–ში ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფოსტით წარდგენილ უნდა იქნას ინგლისურენოვანი დოკუმენტაცია, რომელიც უნდა მომზადდეს www.grdf.ge ვებგვერდზე მითითებული ინფორმაციის მიხედვით.
3. საპროექტო წინადადებები წარდგენილი უნდა იქნას შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: ფონდში - international@rustaveli.org.ge; CRDF Global-ში - georgia@crdfglobal.org და სსგფ–ში - helen@grdf.ge.
4. საპროექტო წინადადებების ფონდში, CRDF Global-სა და სსგფ–ში წარდგენა ელექტრონული ფოსტით შესაძლებელია 2014 წლის 2 აპრილიდან 2014 წლის 19 მაისის 17 საათამდე.
5. ფონდის კანცელარიაში, აგრეთვე, წარდგენილი უნდა იქნას კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტის განცხადების (დანართი 4) ორიგინალი არაუგვიანეს 2014 წლის 21 მაისის 18 საათისა .
6. საპროექტო წინადადებების კონკურსზე დაშვების შესახებ ოფიციალური დასტურის ან უარის თაობაზე კონკურსის მონაწილეებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტით.
7. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.
8. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. ფონდის, CRDF Global-ისა და სსგფ-ს მიერ ხდება შემოსული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2. კონკურსზე დაშვებული პროექტების სამეცნიერო ღირებულების შესაფასებლად CRDF Global/სსგფ შეარჩევს დარგის ექსპერტებს და უზრუნველყოფს მათთვის პროექტების წარდგენას;

3. ექსპერტების მიერ შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: ა) სამეცნიერო დონე/ღირებულება; ბ) ლაბორატორიული შესაძლებლობები; გ) ხარჯები და დროის განრიგი.

4. ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, CRDF Global და სსგფ შეარჩევენ დასაფინანსებელ პროექტებს.

5. პროექტების შეფასებაში მონაწილე ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საგრანტო ხელშეკრულების შესრულების ანგარიშის ფორმებს.

3. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

4. პროგრამული მონიტორინგისას ფონდი ეყრდნობა იმ ინფორმაციას, რომელსაც წარმოადგენს გრანტის მიმღები იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც იგი სწავლობს დოქტორანტურის შესაბამისს კურსზე.

დანართი N2

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 02 აპრილის №31 ბრძანებით

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -GLOBAL), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) მიერ გამოცხადებული „ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის პროგრამა"

პროექტის რეზიუმე

აპლიკანტის სახელი, გვარი:

წარმოადგინეთ პროექტის რეზიუმე ქართულ ენაზე – არაუმეტეს 100 სიტყვისა.

დანართი N3
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის ------ აპრილის N-----ბრძანებით

(ივსება მხოლოდ ფონდიდან მოთხოვნილ თანხაზე)

№	დაფინანსების მიზნობრიობა	სულ აშშ დოლარი
1	გრანტის მიმღების სტიპენდია	-
2	სწავლის საფასური	-
3	კომპიუტერული და სხვა ტექნიკური საშუალებებისა და სათანადო მასალების შეძენის ხარჯი	-
4	საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი	-
	სულ	-

დანართი N4
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 02 აპრილის №31 ბრძანებით

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, ქვემოთ ხელისმომწერი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტი" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 18 მარტის N33/ნ ბრძანებას, აგრეთვე, სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ და ხელმოწერით ვაცხადებ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ფონდში წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი პროექტი აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის **ერთობლივი პროგრამის "ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის** კონკურსის ერთობლივი გრანტის მისაღებად.

1. **პროექტის სახელწოდება:**
2. **ფონდიდან მოთხოვნილი თანხა** ------
3. **პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):**
4. **პროექტის წარმომდგენი:**

აპლიკანტი (გვარი, სახელი)	ხელმოწერა